

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის  
ოქმი N 7

ქ. თბილისი, 28.09.2023, 15 საათი,  
თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 212

სხდომას ესწრებოდნენ: აბაშიძე ზვიად, ბერულავა გიორგი, დორეული ნანული, ებრალიძე თამარ, თვალთვაძე დარეჯან, მაჭავარიანი ლია, ნადარაია ელიზბარ, პატარიძე დიმიტრი, ფიცხელაური ნატო, ქიტიაშვილი ანასტასია, შალიკაშვილი მორის, ხუციშვილი ქეთევან, ჭედია როინ, ჯავახიშვილი ნიკოლოზ (სხდომა დატოვა მე-7 საკითხის განხილვისას).

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ნინო კურატიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ გიორგი არსოშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ მათა მეტრეველის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ სალომე ბედუკაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ნათია ზარდიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ ოთარ ჭულუხაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ ბოჩო შურღაიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის







20. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ სალომე ხუბულავას სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
21. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ მათია ჩიგოგიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
22. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ ლელა ჩხიტაურის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
23. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ გვანცა გულიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
24. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ ზურაბ გოგშელიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
25. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ თორნიკე ზურაბაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება;
26. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ ელენე უჩავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**1. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ნინო კურატიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა რუსუდან დოლიძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „აგრესიული იუმორის რიტორიკა ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ჭრილში (ინგლისური და ქართული იუმორისტული მონოლოგების მასალაზე)“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე.



აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაია დაინტერესდა, სადისერტაციო ნაშრომი და დოკუმენტაცია რამდენად აკმაყოფილებდა თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

**აზრი განოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ე.წ. „დისერტაციების ელექტრონულ საცავში“ ატვირთულია ყველა მასალა და საბჭოს წევრებისათვის ხელმისაწვდომია დაცვამდე 10 დღით ადრე. დოქტორანტ ნ. კურატიშვილის როგორც დისერტაცია, ასევე დოკუმენტაცია ნამდვილად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

**აზრი გამოთქვა:** ლ. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღებია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასება.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო კურატიშვილისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**2. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გიორგი არსოშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა მორის შალიკაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „დამნაშავეის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრიდან 6. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 91 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ე. ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტის მიერ დისერტაციაში შემუშავებული რეკომენდაციებით და დასკვნებით.

**მოისმინეს:** მ. შალიკაშვილმა საბჭოს მოახსენა დოქტორანტის მიერ დისერტაციაში მოყვანილი დასკვნების შესახებ.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის



დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება გიორგი არსოშვილისთვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**3. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს მოახსენა, რომ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **მაია მეტრეველის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წარმომადგენელი არ გამოცხადდა დასკვნის (შეფასების) წარმოსადგენად, შესაბამისად, საბჭომ დოქტორანტისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის უნდა გადადოს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **მაია მეტრეველის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) განხილვა და მისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

**4. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **სალომე ბედუკაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა **მაია თუხარელმა** საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ბორის პასტერნაკის ქართველ ადრესატებთან მიმოწერის თავისებურებანი და შემოქმედებითი მნიშვნელობა“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრიდან 6. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** დ. თვალთვაძე დაინტერესდა პუბლიკაციების გამოქვეყნების ადგილით და დისერტაციის სიახლით.

**მოისმინეს:** მ. თუხარელმა აღნიშნა, რომ დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. დისერტაციის საიხლეს წარმოადგენს ის, რომ დოქტორანტის მიერაა თარგმნილი ბ. პასტერნაკის წერილები და შემდგომ გაანალიზებულია.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.



**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება სალომე ბედუკაძისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**5. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ნათია ზარდიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ირინა გველესიანმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ემოციის ფრეიმინგი: დარწმუნებითი კომუნიკაციის სოციოლინგვისტური ასპექტები საჯარო გამოსვლებში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ა. ქიტიაშვილი დაინტერესდა კვლევის მეთოდოლოგიით. მან აღნიშნა, რომ დისერტაციაში ტერმინების დონეზეც კი შეცდომებია დაშვებული. ის თავს შეიკავებს ნ. ზარდიაშვილისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას.

**მოისმინეს:** ი. გველესიანმა აღნიშნა, რომ კვლევა იყო კომპლექსური და გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ თავი შეიკავა ანასტასია ქიტიაშვილმა, ხოლო საბჭოს დანარჩენმა 13-მა წევრმა გადაწყვეტილება მიიღო ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ნათია ზარდიაშვილისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**6. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ ოთარ ჭულუხაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ხელოვნება ნიცმესა და ჰაიდეგერის შემოქმედებაში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში



მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი, წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ოთარ ჭულუხაძისთვის** ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**7. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **ბოჩო შურღაიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ლეილა ხუბაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოში 1991-1993 წლებში და უკრაინაში 2014-2015 წლებში: ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ზ. აბაშიძემ აღნიშნა, დოქტორანტის მიერ გამოკვლეულია საინტერესო და შეუსწავლელი საკითხი. ის მხარს უჭერს ბ. შურღაიასთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

**აზრი გამოთქვა:** ნ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სადისერტაციო საბჭოს თითოეულ წევრს, დარგის მიხედვით, სისტემატიურად ეგზავნებოდეს ინფორმაცია დისერტაციების დაცვის თარიღების შესახებ. ბ. შურღაიას დისერტაციის თემა საინტერესოა და დაცვის შესახებ ინფორმაცია რომ ჰქონოდა, აუცილებლად დაესწრებოდა მის განხილვას.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაციების დაცვის შესახებ განცხადება ქვეყნდება ფაკულტეტების ვებგვერდზე და, გარდა ამისა, დანიშნული დაცვების შესახებ საბჭოს წევრები იღებენ ინფორმაციას საბჭოს აპარატის უფროსისაგან.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად (საკითხის განხილვისას სხდომა დატოვა ნ. ჯავახიშვილმა).

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ბოჩო შურღაიასთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.



**8. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **სიმონ გურეშიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ნანი გელოვანმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ისლამური რადიკალიზმი და „არაბული გაზაფხული“: თუნისი, ეგვიპტე, სირია“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 91 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ზ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ სასურველია დისერტაცია წიგნად გამოიცეს.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **სიმონ გურეშიძისთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**9. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ქობალიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა მარიკა მშვილდაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ოქრომჭედლობა წინარეანტიკური ხანის კოლხეთში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომი, სადაც გამოყენებული აქვს ახლადმიკვლეული მასალები.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.



**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ქობალიასთვის** არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**10. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ დოქტორანტ **ანა სახვამის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა მარიკა მშვილდაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ურბნისის სამაროვანი“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია საინტერესო ნაშრომი და მხარს უჭერს მისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა სახვამისთვის** არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**11. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ დოქტორანტ **კობა კობერიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა მარიკა მშვილდაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ახ. წ. I-III საუკუნეების ადგილობრივი კერამიკული ჭურჭელი საქართველოში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 100 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილია ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომი, სადაც გამოყენებული აქვს ახლადმიკვლეული მასალები.



**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დ. თვალთვამემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭისყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება კობა კობერიძისთვის არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**12. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვამემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგია“ დოქტორანტ დავით ნასყიდაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ფასისის ქვეყანა - დისპერსიული ურბანიზაცია, ანტიკურობიდან გვიან შუა საუკუნეებამდე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ ლიჩელი - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი).

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვამემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

ა) რევაზ პაპუაშვილი - ისტორიის დოქტორი, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი;

ბ) გელა გამყრელიძე - ისტორიის დოქტორი, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) ზვიად კვიციანი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ბ) მარინე ფუთურიძე - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

გ) კონსტანტინე ფიცხელაური - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

დ) მერაბ ძნელაძე - ისტორიის საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი;

ე) ალექსანდრე ნონეშვილი - ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

ვ) გურამ ყიფიანი - ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანისტული კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი;



ზ) დავით მინდორაშვილი - ისტორიის დოქტორი, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერი-თანამშრომელი.

**13. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ხათუნა ბუსკივადის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „კოდების გადართვის სოციოლინგვისტური ასპექტები (ზოგადი და ბიზნეს ინგლისურის სწავლების მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დოლიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი).

**აზრი გამოთქვა:** დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

- ა) ირინე გველესიანი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- ბ) ინა ბარათაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

- ა) მანანა რუსიეშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;
- ბ) ნინო დარასელია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- გ) ნათელა ნემსაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- დ) ირინე დემეტრაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- ე) იზაბელა პეტრიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- ვ) ვალერია ფურცელაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი;
- ზ) თამარ ნატროშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**14. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **გიორგი ცომიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისია (თემა: „რუსული და უკრაინული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციები და მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი).



**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**

- ა) ფატიმა შეყლაშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- ბ) გურამ მარხულია - ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

- ა) ლეილა (ია) ხუბაშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- ბ) მერაბ კალანდაძე - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;
- გ) ზაალ გოგენია - ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი;
- დ) მიხეილ ქართველიშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;
- ე) კახაბერ ყალიჩავა - ისტორიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;
- ვ) ომარ არდაშელია - ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- ზ) დაზმირ ჯოჯუა - ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**15. მოისწინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ მარი ხუხუნაიშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „არათავაზიანობისა და იდენტობის თავისებურებები ოჯახის დისკურსის ჟანრში (ქართული და ამერიკული სერიალების მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დოლიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი).

**აზრი გამოთქვა:** დ. თვალთვაძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია შერჩეულია თსუ-ში მოქმედი რეგულაციების პირობების გათვალისწინებით.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, დარეჯან თვალთვაძემ, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

**რეცენზენტები:**



ა) მარიამ ნეზიერიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი;

ბ) ირინე დემეტრაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) მანანა რუსიეშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

ბ) ნინო დარასელია - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

გ) ნათელა ნემსაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

დ) ირინე გველესიანი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ე) რუსუდან ჯაფარიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი;

ვ) ვალერია ფურცელაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელი;

ზ) თამარ ნატროშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

